



საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

23.06.2017

/დამტკიცებულია სსსფ-ს პირველი ვიცე
პრეზიდენტის მიერ/



შეჯიბრების დებულება

„დაფერს ქლავ ჯორჯიას 2017 წლის თასი“

ფიგურული სლალომი მოყვარულებს შორის

(ქ.ახმეტა)

ღია ტურნირი

02.07.2017წ

ახმეტა 2017

1. შეჯიბრების პროგრამა

02.07.2017

- | | | |
|----|--|------------------|
| 1. | მონაწილეების რეგისტრაცია და ტექ დათვალიერება | 11:00 – 11:30 სთ |
| 2. | პირველი ავტომობილის სტარტი | 12:00 სთ. |
| 3. | შეჯიბრის ბოლო სპეც მონაკვეთი სტარტი | 16:00 სთ. |
| 4. | წინასწარი შედეგები | 17:00 სთ. |
| 5. | პროტესტები | 17:00-17:30 სთ. |
| 6. | დაჯილდოება | 17:30 სთ. |

2. შეჯიბრის ორგანიზატორი, ოფიციალური პირები

შეჯიბრის ორგანიზატორი: ა.(ა).ი.პ. „დაფერს ქლავ ჯორჯია“

მისამართი: ქ. თბილისი, გაბრიელ სალოსის ქუჩა

ტელ: 579-111-451

[e-mail: goderdzishvili.sh@gmail.com](mailto:goderdzishvili.sh@gmail.com)

შეჯიბრის კოორდინატორი:

შალვა გოდერძიშვილი

მობ: +995-579-111-451

ოფიციალური პირები:

შეჯიბრის ხელმძღვანელი: შალვა გოდერძიშვილი

579 111 451

მთავარი მსაჯი:

უსაფრთხოების კომისარი:

ტექ.კომისარი:

მთავარი ქრონომეტრისტი:

შეჯიბრის მდივანი : თაზო ჭილაძე

555 10 11 30

3. შეჯიბრის ტრასა

3.1. შესასრულებელი ფიგურების რაოდენობა 3 (სამი).

3.2. შეჯიბრის ხანგრძლივობა 7:00 საათი

4. შეჯიბრის პირობები

- 4.1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის (სსსფ) სპორტული კოდექსის შესაბამისად და ფიგურული სლალომის რეგლამენტის მოთხოვნებით პირად ჩათვლაში.
- 4.2. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს შეჯიბრის დებულების შესაბამისად.
- 4.3. ორგანიზატორს უფლება აქვს შეუჩეროს მონაწილეს განაცხადი თუ მისი ავტომობილი არ აკმაყოფილებს ტექნიკურ მოთხოვნებს.
- 4.4. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს დებულების შესაბამის დროში. დაგვიანების შემთხვევაში განაცხადი არ მიიღება.
- 4.5. ერთი ავტომობილით ასპარეზობის უფლება აქვს რამოდენიმე მონაწილეს.
- 4.6. მონაწილეს უფლება აქვს გამოვიდეს სხვადასხვა კლასში შესაბამისი კლასის ავტომობილით

5. შეჯიბრების წესები

- 5.1. სტარტი: მსაჯის მითითებით (სხივის გადაკვეთით).
- 5.2. ფინიში: ზოლის გადაკვეთით (ფოტო ფინიში).
- 5.3. რბოლა: მონაწილეს აქვს დისტანციის გავლის უფლება 1-ჯერ.
- 5.4. დისტანციის გავლის ყველა მცდელობა აითვლება სტარტიდან ფინიშის ჩათვლით.
- 5.5. სამივე ფიგურის გავლის დროს მონაწილე აგროვებს ქულებს (1 ქულა არის 1 წამი). ქულად ითვლება ფიგურის შესრულების დროების ჯამი..
- 5.6. შეჯიბრში მონაწილეები ჩათვლას იღებენ:
 - წინა წამყვანი
 - უკანა წამყვანი;
 - კვადრო;
- 5.7. არასწორად გავლილი ფიგურა ითვლება არ შესრულებულად და მონაწილეს ეწერება შესრულებული ფიგურის ყველაზე ცუდ დროს დამატებული 5 წამი.
- 5.8. ფიგურის შესრულების დროს საგზაო კონუსთან ყოველი შეხება რომელიც გამოიწვევს ზემოთ აღნიშნული კონუსის მონიშვნის ზონიდან გადაადგილებას ან წაქცევას, ჯარიმდება ფიგურის შესრულების დროზე 2 წამის დამატებით.

6. მონაწილეები

- 6.1. შეჯიბრზე დაიშვებიან პირები ,რომელთაც გააჩნიათ ავტომობილის მართვის მოწმობა.
- 6.2. მონაწილე ვალდებულია მონაწილის ბარათის შევსებისას ჩაწეროს ინფორმაცია სრულად.
- 6.3. შეჯიბრში მონაწილეობის საფასური არის 30 (ოცდაათი) ლარი.
- 6.4. შეჯიბრი ატარებს ღია ტურნირის სახეს.
- 6.5. პასუხისმგებლობა მატერიალურ ზარალზე, როგორც მონაწილეების და მათი ქონების მიმართებაში, ასევე მესამე პირთა და მათი ქონების მიმართებაში ევალებათ უშუალოდ ზარალის გამომწვევ პირებს. ორგანიზატორი ამ პასუხისმგებლობას არ იზიარებს.
- 6.6. დაშვებულია ავტომობილის ტექ. შეკეთება და საწვავით შევსება უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
- 6.7. სარბოლო მონაკვეთზე უსაფრთხოების ღვედების არ ქონის შემთხვევაში მონაწილე მოიხსნება შეჯიბრიდან.

7. მონაწილე ავტომობილები

7.1. შეჯიბრზე დაშვებულია ქარხნულ მდგომარეობაში ან მაქსიმალურად ქარხნულთან მსგავსი ოთხ თვლიანი ძარბანი სამგზავრო სატრანსპორტო საშუალება.

7.2. ავტომობილზე დაშვებულია სპონსორის და სპორტული აქსესუარების რეკლამა ნებისმიერ ადგილას, გარდა ხედვითი და წინა გვერდითი შუშებისა.

7.3. სასტარტო ნომრები შავით თეთრზე ავტომობილის ორივე მხარეს.

8. პროტესტები

8.1. პროტესტები მიიღება სპორტსმენისგან ან წარმომადგენლისაგან წერილობით მთავარი მსაჯის სახელზე შეჯიბრის წინასწარი შედეგების გამოცხადებიდან 30 წუთის განმავლობაში ფულადი დეპოზიტის დადასტურებით.

8.2. პროტესტის დროს მონაწილეს შეუძლია წარმოადგინოს ინციდენტის ამსახველი ვიდეო მასალა.

9. შენიშვნები და განმარტებები

9.1. საორგანიზაციო კომიტეტს უფლება აქვს შეიტანოს დამატებები და ცვლილებები ასპარეზობის რეგლამენტში, წინასწარი ან საერთო განცხადების სახით.

9.2. ორგანიზატორი უფლებამოსილია გადაიტანოს ან შეწყვიტოს შეჯიბრი ფორს-მაჟორული ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. აღნიშნულ შემთხვევაში არ აგებს პასუხს მიყენებულ მორალურ და მატერიალურ ზარალზე.

10. შედეგების განსაზღვრა

10.1. რბოლის საბოლოო შედეგები განისაზღვრება თითოეული მონაწილის მიერ სამივე ფიგურის გავლის დროების ჯამით (საჯარიმო დროების ჩათვლით).

10.2. გამარჯვებულად ითვლება მონაწილე, რომელსაც აქვს ყველაზე დაბალი ჯამური დრო.

11. დაჯილდოება

- 1) წინა წმეცნი;
 - I ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - II ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - III ადგილი –მედალი, დიპლომი;
- 2) უკანა წამეცანი;
 - I ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - II ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - III ადგილი –მედალი, დიპლომი;
- 3) კვადრო:
 - I ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - II ადგილი –მედალი, დიპლომი;
 - III ადგილი –მედალი, დიპლომი;